

ავგისტოს ომის დისკურსი ზაზა ბურჭულაძის „ადიბასში“

ომი რთული და მრავალმხრივი ფენომენია. ომის თემა ლიტერატურაში კი ისეთივე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა. ჯერ კიდევ ჰომეროსი აღწერს „ილიადაში“ უამრავ ბატალურ სცენას. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა პირველ და მეორე მსოფლიო ომზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშები - ფილმები, სურათები, ფოტოები, ტექსტები. ადამიანთა ცნობიერებაში ომი, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ მოვლენასთან ასოცირდება. მაგრამ თუ უფრო ჩავუღრმავდებით ცნებას, ვნახავთ, რომ ომი სერიოზული სიმბოლიკის მატარებელი მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია ფილოსოფიურ, ანთროპოლოგიურ, კულტუროლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და ეთიკურ პრობლემებთან. ხშირად მიუთითებენ იმასაც, რომ შეუძლებელია ომის თეორიის აგება საერთოდ, ვინაიდან იგი არ ემორჩილება ლოგიკის მკაცრ კანონებს და მისი შედეგებიც არაპროგნოზირებადია. ომი შეიძლება დაიწყონ პოლიტიკოსებმა, მაგრამ იგი თანდათან ვრცელდება ადამიანური ყოფის სხვადასხვა სფეროში და განსხვავებულ გავლენას ახდენს მათზე.

ომები არც საქართველოს ისტორიისთვის ყოფილა უცხო. ხშირ შემთხვევაში იგი ნაციონალური იდენტობის დაცვასთან იყო გადაჯაჭვული. როგორც ირმა რატიანი შენიშნავს - „ნაციონალური იდენტობისა და ეროვნული ღირებულებების დაცვა აქტუალურ დატვირთვას იძენს 90-იანი წლებიდან და გრძელდება მიმდინარე ქართულ ლიტერატურაშიც. ომის დისკურსი - აფხაზეთისა თუ ავგისტოს ომის თემები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილ მოსახლეობასა თუ დარღვეულ ისტორიულ მთლიანობაზე ფიქრი, როგორც ქართველი ხალხის დიდი ტკივილის გამოხატულება, - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ თემებზე მუშაობენ არა მხოლოდ ის მწერლები, რომლებმაც საკუთარ თავზე, ფიზიკურად გამოსცადეს ომების სიმწარე, არამედ ისინიც, ვინც მხოლოდ სულიერად არიან ჩართულნი ამ პრობლემებში“ (რატიანი 2011: 46). ომის მიზეზებისა და შედეგების გააზრებაში მხატვრულ ლიტერატურას არცთუ უკანასკნელი ადგილი უკავია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე მწერალთა მიერ ომის თემაზე შექმნილი ტექსტები ინტერპრეტაციის სითამამითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამჯერად ყურადღება მივამჩნევთ ავგისტოს ომის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე თამამ ინტერპრეტაციაზე, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასზე“.

„ბოლო პერიოდის საუკეთესო ქართული რომანი - ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“, თავისი დახვეწილი ენით, ალუზიებით და გამბედაობით, შეიძლება დონა კარანის ბაროკოს ხანის ნოსტალგიით გაჯერებულ გოფირებულ საღამოს კაბებს თუ დრივს ვან ნოტენის ნოტებიან საყელოს და მანუეტებს, ან ვიქტორის და როლფის სიურრეალისტურ თუ ალექსანდრ მაკჟუინის ფუტურისტულ ექსპერიმენტებს შევადაროთ“ (ლომიძე 2010: 14). კრიტიკოსი გაგა ლომიძე, რასაკვირველია, შემთხვევით არ ჩამოთვლის დიზაინერებს - „ადიბასი“ სატირაა ცნობილ ბრენდებსა და მოდურ ტენდენციებზე. იგი პოსტმოდერნისტული რომანია, მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნით, იქნება ეს ირონია, დაპირისპირება ტრადიციულ ნორმებთან თუ ინტერპრეტაციის თავისუფლება. „ადიბასში“ რეალიზებულია პოსტმოდერნიზმის მთავარი მეტაფორა - სიმულაკრა, ასლი ორიგინალის გარეშე. ავტორი რომანს წარუძმლვარებს „ადიბასის“ ლექსიკონურ დეფინიციას: „adibas – 1. ყალბი ადიბასი 2. ზოგადად სუროგატი, იმიტაცია. 3. ნებისმიერი ყალბი რამ: ნივთი, საგანი, სიტუაცია, მოვლენა და ა.შ.“ პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას აღარ სწამს ჭეშმარიტების არსებობისა და არც ნაწარმოები იქნება აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიით. „ადიბასი“ არაფერს „ასწავლის“ მკითხველს, იგი ასახავს რეალობას, რომლისაც აღარ სჯერა მწერალს. რომანში რეალიზებულია პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშანი - ჰიპერრეალობა, რომელიც კონკურენციას უწევს რეალობას. რომანში ჰიპერრეალობის ფორმად ვირტუალური რეალობა შეიძლება მივიჩნიოთ: აქ ყველაფერი

ციფრულ ფორმატს უკავშირდება - ომით დაწყებული, სექსით დამთავრებული, და ველარ გაგირკვევია, „შენი ცხოვრება უფრო რეალურია თუ „დისქავერის“ გადაცემები“.

„ადიბასი“, როგორც პოსტმოდერნისტული ტექსტი, თხრობის სპეციფიკური ფორმითა და მანერით გამოირჩევა. როგორც ცნობილია, პოსტმოდერნისტული რომანებისთვის დამახასიათებელია სიუჟეტის უარყოფა, ტექსტის ანტინარატიული სტრუქტურა (რადიკალური მოსაზრებით კი საერთოდ შეუძლებელია ამბის მოყოლა). „ადიბასს“ არ აქვს სიუჟეტი, არ ჰყავს ერთი ღომინანტი მთხრობელი. თხუთმეტივე თავი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შინაარსისაა. თხრობა არახაზოვანია. პერსონაჟ-მთხრობელი ხშირად იხსენებს გარდასულ ამბებს, მაგალითად, ტატუს გაკეთების ისტორია, ბიბისთან უკანასკნელი შეხვედრის გახსენება (რომელიც განსხვავებული შრიფტითაც გამოიყოფა ძირითადი ტექსტისაგან), თელავში ყოფნის ამბავი - ყველა შემთხვევაში თხრობა რეტროსპექციულია. რომანში რეალიზებულია პერსონაჟისეული თხრობა, რომელიც პირველი პირისგან წარმოებს. გამონაკლისია რამდენიმე თავი, მათ შორის ერთი, სიმპტომური სათაურით „საქართველო“, წარმოაგენს ორი პერსონაჟის - robozapienz-ისა და nylon_eyes-ის საუბარს სკაიპით. შესაბამისად, აქვს დიალოგის ფორმა და შერეული, ქართულ-ინგლისურ-რუსული ლექსიკა, შრიფტი კი ლათინურია. ეს თავი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამგვარი ექსპერიმენტული თხრობით სინთეზირებულია თანამედროვე ქართული ყოფის რამდენიმე მახასიათებელი - ინგლისური ენა, ვირტუალური ურთიერთობა (კომპიუტერი), ჟარგონებისა და უცხოური სლენგების პრობლემა.

ყველა თავს აერთიანებს მოქმედების დრო და ადგილი - თბილისი, 08/08/08. მთელი რომანი ამ ერთი დღის ნარატივს წარმოადგენს სხვადასხვა რაკურსით. ერთი შეხედვით, რომანს მთავარი გმირი არ ჰყავს, მაგრამ, ვფიქრობ, ომი (სექსთან დაწყებული) სწორედ ის მთავარი პერსონაჟია, რომელიც, უშუალოდ არავისზე ახდენს გავლენას, მაგრამ განაპირობებს ტექსტის კონცეპტუალურ ლაიტმოტივს. მაინც როგორი ომია აღწერილი „ადიბასში“? იგი არის და არც არის, მას ამჩნევენ, მაგრამ არ იმჩნევენ. ენობრივ დონეზე ომთან დაკავშირებული ინფორმაცია მშრალია, სქემატური, ემოციისგან დაცლილი (ინფორმაცია პირდაპირი მნიშვნელობით, რამდენადაც აგვისტოს ომი რომანში რადიოსა და ტელევიზიიდან გაგონილი ფრაზებით გადმოიცემა). ეს ეპიზოდები ძირითადი ტექსტისგან ყველა შემთხვევაში გამოყოფილია ბრჭყალებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეს ომი არა ადამიანთა ცხოვრებაში, არამედ ამ ცხოვრების პარალელურად და დამოუკიდებლად არსებობს, მხოლოდ ვირტუალურად. ომის ერთგვარ სინონიმად ტექსტში სექსია წარმოდგენილი: „რას შეიძლება ნიშნავდეს დღევანდელი დღე - 08/ 08/ 08. რვიანის უსასრულობის ნიშანთან მსგავსების გამო, შეიძლება განულებულ უსასრულობას მესამე ხარისხში? ...თუ ჩავთვლით, რომ რვიანი ყვერებია, ნული კი ვაგინა, მაშინ გასაგებია, პენისი რატომაც არ ჩანს. ის უკვე ვაგინაშია. გამოდის, 08 სექსის სიმბოლოა? ამ ლოგიკით ისიც კი შეიძლება გამოვიდეს, რომ დღევანდელი თარიღი როგორღაც დღევანდელ ომსაც უკავშირდება? ყოველ შემთხვევაში, ზუსტად იმდენად, რამდენადაც თვითონ ომია სექსის იმიტაცია, ან პირიქით - სექსი ომის იმიტაცია“ (ბურჭულაძე 2009: 192-194). „თითქოს ამ დახუთულ გარემოში ერთადერთი გასაქცევი მხოლოდ სექსია და არ აქვს მნიშვნელობა ეს რეალურ დროში, მონიტორზე ნანახი აქტი იქნება თუ ტელეფონით გაგზავნილი სასქესო ორგანოების გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ ამგვარი სწრაფვა, იმავდროულად, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ესქატოლოგიური შიშითაცაა ნაკარნახევი“ (ლომიძე 2010: 15).

რომანში რამდენიმე ხმა ისმის - ესაა პერსონაჟებისა და ავტორის ხმა. იმ თავებში, რომლებშიც თხრობა პირველი პირისგან წარმოებს, მხოლოდ პერსონაჟის ხმა ისმის, ავტორისეული ჩართვები, შეფასებები და რეპლიკები არსად არის. ჰეტეროდოქსური მთხრობელი მონაწილეა იმ ამბებისა, რომელსაც გვიყვება. მაგრამ არის თავები, რომლებშიც მხოლოდ ავტორის ნარატივია და ეს ნარატივი გარკვეული განზოგადებული შინაარსისაა, შესაბამისად კონცეპტუალურ პლანში გაიაზრება. მაგალითად, მე-14 თავი „ფიქრნი მტკვრის პირას 2: zone reality“ - მასში ჩამოთვლილია რამდენიმე ათეული ზმნა კავშირებითის ფორმით - „ჩვენ შეგვეძლო გვეცხოვრა, გვევჯობნა, გვებოზა, გვესნობა, გვექლესა, გვებრაზა ...გვემათხოვრა უფრო ამაყად“. თითოეული ზმნა ერთბაშად აღწერს, დასცინის და

აკრიტიკებს იმ რეალობას, რომელშიც არაფერი აღარაა ნამდვილი, თვით ომიც კი! მინიშნება რომანტიკოს პოეტზე და ხაზგასმა იმისა, რომ ეს რეალური ვითარებაა და რომანტიკოსთან არაფერი აქვს საერთო, მეტი სიმძაფრით ტვირთავს ამ ქვეთავს.

„ადიბასი“, სტილის თვალსაზრისით, 1980-იანი წლების ამერიკული პროზის, იაპონური მანგების და ამერიკული კომიქსების ერთგვარი ნაზავია. ისევე, როგორც კომიქსები, ეს რომანიც გაჯერებულია სუპერგმირების იმიჯებით, ოღონდ მხოლოდ იმიჯებით, ვინაიდან, როგორც მთხრობელი ამბობს: „No one can be the hero in fake city“ (ლომიძე 2010: 14). სტილთა ამგვარი შერევა პოსტმოდერნისტული რომანისათვის უცხო არ არის, ისევე როგორც კანონზომიერია რამდენიმე ჟანრის ერთ ტექსტში თანაარსებობა. „ადიბასში“ ჩართულია პიესა (მეცხრე თავი, სათაურით „ვინტის მოლოდინში/ გმირთა დიეტა“), მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით: სცენიური ტიპის თხრობით, ავტორისეული რეპლიკებით, მოქმედების ადგილის დეტალური აღწერით და სხვა*

მთელი რომანი გაჯერებულია პოსტმოდერნისტული ირონიით, რომელიც რეალობაში მიმდინარე მოვლენებს მიემართება: „ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული სააკაშვილი სარეველასავით ამოუძირკვავია, გრაფიტივით წარუშლელი, რეკლამასავით გარდაუვალია და საშაურმესავით ყველგანა“ (ბურჭულაძე 2009: 149). „ხინკალი ყველას აერთიანებს. როგორც ფიროსმანის სიყვარული. როგორც ინტერნეტი. როგორც სიმღერა "We are the World" (ბურჭულაძე 2009: 72). ირონიის გვერდით რეალიზებულია პოსტმოდერნისტული ესთეტიკისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი - პაროდია. პაროდის ყველაზე კარგი მაგალითია მე-8 თავი „08/08/08“ - იგი პაროდიაა ჩვენში ასე გავრცელებული ყოველდღიური ასრტოლოგიური პროგნოზისა. თხრობა ბაძავს ასრტოლოგთა პროგნოზს, თუმცა ირონიზებულია, რითაც ხაზი ესმება მის სიყალბეს: „ვერძი. დღეს თქვენ ენერგეტიკული რესურსები ნამდვილად უსაზღვროა. მთავარია, მათი მობილიზება მოახერხოთ. დღეს მარსი ცეცხლოვანი ლომისკენ იხრება. ასე რომ, დიდი ენერჯის მოზღვავენას იგრძნობთ. მაგალითად, თავისუფლად შეგეძლება ბავშვების გაუპატიურება. მაგრამ არ დაგავიწყდეთ - მათ ეს არ დაუმსახურებიათ“ (ბურჭულაძე 2009: 91). ამას მოსდევს დანარჩენი თერთმეტი ზოლიაქოს ნიშნის პაროდირებული პროგნოზიც.

როგორც აღვნიშნეთ, რომანის დროითი ჩარჩო ერთ დღეს მოიცავს, სივრცე კი შემოსაზღვრულია - მოქმედება თბილისს არ სცდება. მხოლოდ ერთი პერსონაჟია ამ სივრცის გარეთ - nylon-eyes - ისიც სკაიპით „ერთვება“ რომანში და ერთი თავის შემდეგ ქრება. „რომანში მოქმედების ასპარეზი არის თბილისი - ყალბი, ერთგვარი ჰიპერრეალური, მუტანტების ქალაქი, სადაც ყველაფერი ერზაცია, გაყალბებულია - ბრენდებით დაწყებული ყოველდღიური ცხოვრებით დამთავრებული“ (ლომიძე 2012: 14). ქალაქი ჩაკეტილი სივრცეა, თითქოს ყველა ერთ ადგილ ტკეპნის, დროც არ იძვრის, ხშირად მოვლენათა ვერბალური აღწერა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე თავად მოვლენათა ხანგრძლივობა. შესაბამისად დისკურსის დრო უფრო გრძელია, ვიდრე სიუჟეტური. რეალიზებულია პოსტმოდერნული პროზისთვის დამახასიათებელი გაწელილი ხანგრძლივობა. მიუხედავად დროის ზანტი სვლისა ირგვლივ მაინც ბევრი რამ იცვლება - ქუჩებში ოკუპანტთა ტანკები დგებიან, ქალაქის თავზე კი ბომბდამშენები დაფრინავენ. პარადოქსი ისაა, რომ პერსონაჟთათვის ეს არაფერს ნიშნავს. ყველა თავის ნებაზე აყალბებს ამ სივრცეს: „თბილისის ძალიან კარგად უნდა იცნობდე, რომ იგრძნო ხოლმე ეს ცვლილებები. იგი სულ ასეთი დამყოლია, როგორც პლასტელინი, ჰიპერრეალისტური ქალაქი. ნებისმიერს შეუძლია მისი თავის ნებაზე გამოძერწვა, გაფერადება, გაუპატიურება, და რაც მთავარია - გაყალბება“ (ბურჭულაძე 2009: 174).

„ადიბასს“ ომის თემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან ინტერპრეტაციის სითამამე და პოსტმოდერნისტული რომანისათვის დამახასიათებელი ნარატიული თავისებურებები გამოარჩევს. ამ კუთხიდან დანახული და აღქმული ომი დაცლილია ყოველგვარი ტრაგიზმისგან და ოდენ საინფორმაციო გადაცემებში არსებობს. ომზე არავინ საუბრობს, მას არავინ განიცდის. ეს ეპოქის შედეგია თუ ადამიანებმა დაკარგეს თანავგრძნობის უნარი? იქნებ ერთიცა და მეორეც. მაგრამ „ადიბასი“, როგორც ჭეშმარიტად პოსტმოდერნისტული რომანი, არ ეძებს კითხვებზე პასუხს და მკითხველს ანდობს ომის „ადიბასური“ ინტერპრეტაციის ინტერპრეტაციას.

დამოწმებანი:

ბურჭულაძე 2009: ბურჭულაძე,ზ.ადიბასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა, 2009.

ლომიძე 2010: ლომიძე გ. თბილისური ერზაცი: შენიშენები მინდვრებზე. ჟ. „ცხელი
შოკოლადი“, 2010 წელი. მარტი, № 3 (33)

რატიანი 2011: რატიანი ი. თანამედროვე ლიტერატურული პროცესი. ჟ. „ჩვენი მწერლობა“,
2011 წელი, № 24(154)